მომხს: გ. თავბერიძე

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„——“ ივნისი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ ფილიალისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალს „World Vision International-ის ფილიალი საქართველოში“ (ს/კ 203844251) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქ. თელავში, რუსთაველის გამზ. N93-ში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 53.20.47.214) I სართულზე არსებული 93.65 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**